

განმარტებითი ბარათი

განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტით, რომელიც ითვალისწინებს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის გაუქმებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში სათანადო ცვლილების შეტანა, რომელიც გამოძინარეობს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსია „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტიდან გამოძინარე, სათანადო რედაქციული ცვლილების შეტანა განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა იმ პროექტებით, რომლებსაც არ გაუვლიათ სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზა „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.", შესაბამისად, მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულ პუნქტს აზრი ეკარგება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ზარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ზარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იმოქმედებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის ცვლილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო დაწესებულებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.